შპს „ბი ემ სი“

ქვის სახერხი ქარხანა

სკრინინგის ანგარიში

(ქ.თეთრიწყარო, სოფ.წინწყარო)

შემსრულებელი:
შ.პ.ს. „ბი ემ სი“

თეთრიწყარო
2026

საწარმოს დასახელება	შპს „ბი ემ სი“
საიდენტიფიკაციო კოდი	434179104
საწარმოს იურიდიული მისამართი	თეთრიწყარო, სოფ.წინწყარო
საწარმოს იურიდიული მისამართი	თეთრიწყარო, სოფ.წინწყარო
საკადასტრო კოდი	84.10.34.000.067
საქმიანობის სახე	ქვის დამუშავება
საწარმოს დირექტორი	ზაალი კვიციანი
საკონტაქტო ტელეფონი	599455079
ელექტრონული ფოსტა	zaalKvitsiani@gmail.com
საწარმოს წარმადობა	8000$მ^2$ ქვის ფილის, 6000 მ ბორდიურის წარმოება
გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელი პირი	ზაალი კვიციანი
საწარმოს მიერ დაკავებული ფართობი	0,2 ჰა

შინაარსი

შესავალი	4
1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ	5
1.1 საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება	6
2. ტექნოლოგია	8
2.1. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა	8
3. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი	12
3.1 ბუნებრივი ფონური მონაცემები	12
3.2 გეოლოგიური აგებულება და საინჟინრო გეოლოგია	16
3.3 ნიადაგები	23
3.4 ჰიდროლოგიური ქსელი	24
3.5. სეისმური პირობები	25
3.6. ძირითადი ლანდშაფტები, ფლორა და ფაუნა	25
3.7 რადიაციული ფონი	26
3.8 კულტურული მემკვიდრეობა	26
4. საქმიანობის შედეგად გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება	27
4.1 ზემოქმედების სახეები	27
4.1.1 ატმოსფერული ჰაერი	27
4.1.2. ხმაური	29
4.1.3 ზედაპირულ და მიწისქვესა წყლის რესურსებზე ზემოქმედება	30
4.1.4 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე	31
4.1.5 ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე	31
4.1.6 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	32
4.1.7. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	32
4.1.8 კუმულაციიური ზემოქმედება	33
4.1.9. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები	33
4.1.10. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე	34
4.1.11. ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	34
4.1.12. საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი	35
დანართი	

შესავალი

შპს „ბი ემ სი“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროს ტერიტორიაზე, საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე ს/კ 84.10.34.000.067, აწარმოებს ბუნებრივი ქვის დამუშავებას და მისგან სხვადასხვა ნაკეთობის დამზადებას.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ნედლეული, ძირითადად ბაზალტის ლოდები შემოიზიდება არეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული საბადოებიდან.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I I -დანართის მე-5.1 პუნქტის მიხედვით აღნიშნული საწარმო ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, რისთვისაც ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში და განცხადება.

ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

- საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ;
- საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:
- საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ;
- ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მაშტაბების შესახებ;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

ნაშრომი შესრულებულია საწარმოს თავისებურებათა სრული გათვალისწინებით და რაც მთავარია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

1.1. საწარმოს განთავსების ადგილის დახასიათება

შპს „ბი ემ სი“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ. წინწყაროს ტერიტორიაზე, საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე ს/კ 84.10.34.000.067. მანძილი საწარმოდან უახლოეს სახლამდე 1,6 კილომეტრია.

ნახ.1 შპს „ბი ემ სი“-ს საწარმო. მაშ. 1:25000

საწარმო განლაგდება საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე ს/კ 84.10.34.000.067, შპს „ბი ემ სი“ -ს საკუთრებაში მყოფ 0,20 ჰა ფართობზე. ტერიტორია წარმოადგენს გაშლილ ვაკეს.

ტერიტორია სამი მხრიდან მხრიდან შემოსაზღვრულია ძლიერ დაქვიანებული საძოვრებით, ხოლო აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

საწარმო ჩრდილოეთით გამავალ მარნეული-თეთრიწყაროს ავტომაგისტრალს უკავშირდება 0,55 კმ. სიგრძის გრუნტიანი გზით.

ნახ.2 შპს „ბი ემ სი“-ს საწარმო. მაშ. 1:25000

ქვის სახერხი დანადგარები განლაგებულია 6 მეტრი სიმაღლის, მთლიანად გადახურულ, რკინა-ბეტონის შენობაში. შენობების კუთხეთა GPS კოორდინატები WGS – 1984 სისტემაში შემდეგია:

№	X	Y
1	470898	4597729
2	470912	4597741
3	470919	4597734
4	470906	4597721

საწარმოს ტერიტორია მთლიანად დეგრადირებულია. ირგვლივ შეიმჩნევა ძალიან მეჩხერი ბუჩქნარი. უახლოესი ერთეული ხე-მცენარეები შეიმჩნევა მხოლოდ დასავლეთით და სამხრეთით 150 მეტრ მანძილზე.

ხერხვის პროცესში გამოყენებული ნამუშავარი წყლის ორსაფეხურიანი სალექარის კოორდინატებია:

№	X	Y
1	470919	4597723
2	470927	4597730
3	470929	4597727
4	470921	4597721



ნახ.3 შპს „ბი ემ სი“-ს საწარმო. მაშ. 1:500.

1 –- HQDQ – 1600 ხიდურა ხერხი; 2 -HQHW – 900 ხიდურა ხერხი; 3 - ჩამოსაგანი; 4 - დამხმარე სათავსი; 5 - ოფისი 6 - სალექარი;
7 - სალექარი ავზი ტუმბოთი; 8 - ნედლეულის საწყობი; 9 -მზა პროდუქციის საწყობი.

2.ტექნოლოგია

2.1. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა

საწარმოში ნედლეული - ქვის ლოდი, ძირითადად ბაზალტი შემოიტანება ავტოთვითმცლელებით და განთავსდება ეზოში ღია საწყობში.

ნახ.4 შპს „ბი ემ სი“-ს საწარმოს ლოდების მიმღები და დროებითი სასაწყობე მოედანი.

დასამუშავებელი ლოდი შემოიზიდება მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან.

ღია საწყობში განთავსებული ლოდი დამტვირთველის მეშვეობით ლუგვის („ბალვანკა“) დასამზადებლად მიეწოდება HQDQ – 1600მმ დიამეტრის ხერხს. თუ ლოდის ზომა ძალზე დიდია ნედლეულის საწყობში ხდება მისი წინასწარი დამუშავება: კერძოდ პერფორატორით -1 ქვის ბლოკებში -2 ხდება გარკვეული სიდიდის შპურების -3 გაბურღვა,



ნახ. 5 ქვის ბლოკიდან ნამზადის მიღება. 1 -პერფორატორი; 2-ქვის ბლოკები;
3- შპური; 4- სოლი; 5- ნამზადი.

რომლებშიაც ჩაეწყობა სოლები -4. სოლებზე ურუს მორიგეობით დარტყმის მეშვეობით ხდება ქვის სასურველ ზომაზე დაპობა და მიიღება ნამზადები -5.

ნახ. 5 ქვის ბლოკიდან და(ან) ნამზადიდან ლუგვის („ბალვანკა“) მიღება.
1 - ხიდურა ხერხი 2-ქვის ბლოკი;

მიღებული ლუგვი („ბალვანკა“) ტელფერის მეშვეობით გადაიტანება HQHW – 900 ხიდურა ხერხზე და ხდება სასურველი ზომის ფილის და(ან) ძელის (ბორდიური) მიღება.

საბოლოო სახეს და ზომებს პროდუქცია იღებს ქვის ჩამოსაგან დანადგარზე.

ნახ.6 შპს „ ბი ემ სი“-ს საწარმო. 1 - საამქრო ოფისითა და დამხმარე სათავსით; 2 - მზა პროდუქცია; 3 - მსუბუქი უნივერსალური დამტვირთველი; 4 - ბაზალტის ნედლეული - ლოდები.

მზა პროდუქცია განთავსდება ღია საწყობში, საიდანაც მიეწოდება მომხმარებლს.

ქვის ხერხვისა და ჩამოგანვის სრული პროცესი მიმდინარეობს სველ გარემოში, რისთვისაც საწარმოში გამოყენებულია წყლის მიწოდების ბრუნვითი (წრიული) სისტემა. სისტემის წყლით შევსება ხდება ავტოცისტერნებით.

ნახ.7 შპს „ ბი ემ სი“-ს საწარმო. 1 - საამქრო ოფისითა და დამხმარე სათავსით; 2 – I სალექარი; 3 - II სალექარი; 4 – ავზი ტუმბოთი.

საწარმოს ტექნოლოგიური სქემა



2.4 ტექნოლოგიური დანადგარები და მოწყობილობები

1. მსუბუქი უნივერსალური დამტვირთველი - 1 ცალი;
2. ქვის საჭრელი HQDQ – 1600მმ დიამეტრის ხიდურა ხერხი (1 ცალი);
3. ქვის საჭრელი HQHW – 900 დიამეტრის ხიდურა ხერხი (1 ცალი);
4. ქვის ჩამოსაგანი ჩარხი (1 ცალი);
5. ტელფერი (3 ცალი);
6. წყლის ტუმბო QDX1.5-32-0.75 Y– (1 ცალი).

საწარმოს სამუშაო რეჟიმია: წელიწადში 300 დღე, დღეში 10 საათი.

3. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი

საწარმო განლაგებულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფ.წინწყაროს აღმოსავლეთით 1,6 კმ მანძილზე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის შემადგენლობაშია. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება გარდაბნისა და მარნეულის, დასავლეთით - წალკისა და დმანისის, ჩრდილოეთით - კასპისა და მცხეთის, ხოლო სამხრეთით - ბოლნისის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ფართობი 1 175.5 კმ^{2}-ს შეადგენს, მინიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მ-ია, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე, სადაც დასახლება მდებარეობს 1140 მ-ს შეადგენს. ქალაქი თეთრიწყარო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი- თბილისიდან დაშორებულია 57 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან - ქ.რუსთავიდან - 60 კმ-ით, ხოლო მთავარი სარკინიგზო მაგისტრალიდან (თბილისი-მარაბდა-ახალქალაქი) - 7 კმ-ით.

მუნიციპალიტეტში არის 1 ქალაქი - თეთრიწყარო, 1 დაბა - მანგლისი და 89 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 20 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

ქ.თეთრიწყაროს, დ.მანგლისს და 49 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანის სტატუსი.

3.1 ბუნებრივი ფონური მონაცემები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მთა-გორიანი რელიეფით ხასიათდება. აქ გაბატონებულია ზომიერად ნოტიო ჰავა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული.

ქვემო ქართლის ბარში, სადაც გაბატონებულია ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, გაბატონებული კლიმატური პირობების ჩამოყალიბებას განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: ტერიტორიის ოროგრაფიული პირობები, მნიშვნელოვანი დაცილება შავი ზღვიდან და მდინარეთა ხეობებით შემოჭრილი ჰაერის მასები.

უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების მიხედვით, რაიონში მზის ნათების ხანგრძლივობა მაღალია მთელი წლის განმავლობაში და მისი საშუალო წლიური სიდიდე

2300 საათს აღემატება. მაღალია ჯამური რადიაციაც, რომლის სიდიდე 120 - 130 კკალ/სმ²-ს შორის მერყეობს, ხოლო რადიაციული ბალანსის წლიური მაჩვენებელი 50 კკალ/სმ²-ს შეადგენს.

მზის რადიაციასთან უშუალო კავშირშია კლიმატური პირობების მაფორმირებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი - ჰაერის ტემპერატურა, რომლის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური მნიშვნელობები აღნიშნულ ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს, აგრეთვე კლიმატის ცალკეული ელემენტების ნორმატიული და სანგარიშო სიდიდეები არსებული უახლოესი მეტეოროლოგიური სადგურების მრავალწლიური დაკვირვების მონაცემებისა და სნ. და წ. „საამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

ატმოსფერული ჰაერის ტემპერატურა (^{0}C)

თვეები საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.	აბს. მინ. წლ	აბს. მაქს. წლ.
მარნეული	0.5	2.0	7.0	13.0	18.0	22.0	25.0	24.5	20.0	14.0	8.0	2.5	13.0	-25	40

ნალექების რაოდენობა (მმ)

თვეები საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ. რაო დენ.	საშ. წლ.
მარნეული	25	30	40	55	75	70	35	30	35	45	40	30	510	45.5

ფარდობითი ტენიანობა (%).

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.
მარნეული	72	70	65	60	60	58	52	50	55	63	70	74	69

ქარის სიჩქარე და მიმართულება (მ/წმ)

თვეები საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
მარნეული	3.0	3.2	3.5	3.8	3.5	3.0	2.8	2.5	2.5	2.8	3.0	3.2
	W/NW	W	W/NW	W	W/SW	W	NW	NW	W	W	NW	W

ქარის მახასიათებლები

სადგური	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15, 20 წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
	1	5	10	15	20
მარნეული	17	23	24	25	26

სადგური	ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
	იანვა რი	ივლისი
მარნეული	2.6/ 0.6	4.5/1.3

ქარის სხვადასხვა მიმართულების განმეორადობა შემდეგნაირად ნაწილდება: ჩრდილოეთის – 27%, ჩრდილო-აღმოსავლეთით – 6%; აღმოსავლეთის – 18%, სამხრეთ-აღმოსავლეთის – 13%; სამხრეთის - 6%, სამხრეთ-დასავლეთის 3%, დასავლეთის – 11%; ჩრდილო-დასავლეთის – 16%. უქარო შემთხვევათა რაოდენობა (შტილი) – 33%.

სქემატურად ქარის სხვადასხვა მიმართულების განმეორებადობა(პროცენტებში) მოტანილია ნახ. 3.1.-ზე.



ნახ5.1. ქარის მიმართულებების განმეორადობა.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილი 3.1.-ში.

ცხრილი 3.1.

მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების ასახელება	მნიშვნელობები
1	2
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატიფიკაციის კოეფიციენტი	200
ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ემპერატურა, ^{0}C	33,3^0
წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, ^{0}C	0.5^0
ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	
- ჩრდილოეთი	27
- ჩრდილო-აღმოსავლეთი	6
- აღმოსავლეთი	18
- სამხრეთ-აღმოსავლეთი	13
- სამხრეთი	6
- სამხრეთ-დასავლეთი	3
- დასავლეთი	11
- ჩრდილო-დასავლეთი	16
-შტილი	33
ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის დამეტების გაგანმეორადობა შეადგენს 5%-ს.	17

3.2 გეოლოგიური აგებულება და საინჟინრო გეოლოგია

საქართველოს ტერიტორიის ტექნიკური დარაიონების სქემის მიხედვით, საკვლევი რაიონის ტერიტორია განთავსებულია ართვინ (სომხეთის)-ბოლნისის ბელტის ბოლნისის ქვეზონაში. რაიონის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ცარცულიდან დაწყებული და თანამედროვე მეოთხეულით დამთავრებული თითქმის ყველა ასაკის ფაციალური წარმონაქმნები.

ცარცული (K) ასაკის ნალექები საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში ტრანსგრესულად და უთანხმოდ ადევს იურულ წარმონაქმნებს (რომლებიც გახსნილია ჭაბურღილებით) და წარმოდგენილია ორი ფაციალური ნაირსახეობით: ვულკანოგენურით და კარბონატულით.

ვულკანოგენური წყება (K2t - cp1) ტურინ-ქვედა კამპანის ასაკისაა და გავრცელებულია მდ. მაშავერას სინკლინური დეპრესიის ვრცელ ტერიტორიაზე. იგი აგებულია მომწვანო და ნაცრისფერი ტუფებით, ტუფოქვიშაქვებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოკონგლომერატებით, რომლებშიც აღინიშნება მერგელებისა და კირქვების ლინზების იშვიათი ჩანართები. ამ წყების ქანები ცნობილია „ბოლნისის მოსაპირკეთებელი ტუფის“ სახით.

კარბონატული წყება - ზედა კამპან-დანიური (K2cp2 – d) ასაკისაა და იგი აგებულია ყვითელი, ნაცრისფერი და ვარდისფერი ჰელიტომორფული თიხებითა და მკვრივი კირქვებით, რომლებშიც აღინიშნება მერგელებისა და არგილიტების ლინზების იშვიათი ჩანართები.

პალეოგენური სისტემა (P) საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში წარმოდგენილია პალეოცენითა, ქვედა და შუა ეოცენით.

პალეოცენი (P1) გადაფარულია ქვემო ქართლის პლატოს დოლერიტული წყებით და ლითოლოგიურად აგებულია პიროკლასტური, დაციტური მასალით. დაციტური საფარი მორიგეობს ტუფებთან, ტუფობრექჩიებთან, ტუფოლავებთან, რომლებშიც აღინიშნება თიხების, მერგელებისა და ქვიშების შუაშრეები.

შუა ეოცენი ($P2^2$) – გავრცელებულია ვულკანოგენური ფაციესის სახით და აგებულია ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოქვიშაქვებით, შრეებრივი ტუფებით და ლავური ბრექჩიებით.


E3+N1
N1
Nm+p
apQ
N1s
Nm+p
N1s
K2km+m
apQ
N2ak
aQ1v
aQ
λK2
Y
K2t-st
T
apQ
K2km+m
apQ
aQ1v
T
K2t-st
T
K2s
T



Q	Q -მეოთხეული სისტემა (დაუნაწევრებელი);
Q_{IV}	Q1V -თანამედროვე ნალექები:
N_2ak	აღჩაგილური სართული. კასპიის ზღვის პროვინცია. კონტინენტური და ზღვიური მოლასა;
N^2_1	შუა მიოცენური (თარხნული, ჩოკრაკული, კარაგანული და კონკური სართულები). ზღვიური მოლასა;
N_1s	სარმატული სართული. ზღვიური და კონტინენტური მოლასა: ქვიშაქვები, თიხები, კონგლომერატები, ზოგან მერგელები;
Nm_p	მეოტური და პონტური სათულები. ზღვიური და კონტინენტური მოლასა: კონ- გლომერატები, ქვიშაქვები, თიხები
E3_N!	ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური (მაიკოპის სერია).
E3	ოლიგოცენური. აჭარა-თრიალეთის ზონა. სანაპირო-ზღვის ნალექები: ქვიშაქვები, თიხები, კონგლომერატები, ალევროლიტები, მერგელები, მურა ნახშირის შრეები.
E_2^1	შუა ეოცენი ($E2^2$) აგებულია ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოქვიშაქვებით, შრეებრივი ტუფებით და ლავური ბრექჩიებით. ზედა ცარცული (დაუნაწევრებელი) აჭარა-თრიალეთის ზონა;
K_2km+m	კამპანური და მაასტრიხტული სართულები. ართვინ-ბოლნისის და ლოქ-ყარაბაღის ზონები;
K_2t-st	ტურონული, კონიაკური და სანტონური სართულები. ართვინ-ბოლნისის და ლოქ-ყარაბაღის ზონები;
λ	რიოლითები: შუაეოცენური -λE2, ზედაცარცული - λK2;

ქვედა ეოცენი (P^1_2) – მცირე გავრცელებით სარგებლობს და აგებულია მერგელოვანი ქვიშაქვებისა და კონგლომერატების შუაშრეებიანი თიხებით.

ნეოგენი (N) – ამ ასაკის ნალექები წარმოდგენილია ორი ფაციალური სახესხვაობით: ტერიგენული და ვულკანოგენური. ტერიგენული ნალექები ზედაპირზე არ შიშვლდებიან და მათი არსებობა დადგენილია ჭაბურღილებით.

ვულკანოგენური ნალექები ფართო გავრცელებისაა და წარმოდგენილია ეფუზიური წარმონაქმნებით. ისინი აგებულია დოლერიტების, ბაზალტებისა და ანდეზიტო- ბაზალტების საფარით.

მეოთხეული (Q) ასაკის ნალექები ფართო გავრცელებით სარგებლობს. იგი წარმოდგენილია შემდეგი გენეტიკური ტიპებით: ალუვიური, ალუვიურ-პროლუვიური, ტბიური და პროლუვიურ-დელუვიურით.

თანამედროვე ალუვიური ჭალისა და ჭალისზედა ტერასული ნალექები გავრცელებულია მდინარეების (ხრამის, მაშავერას და სხვათა) ჭალებში მარნეულის დაბლობის ტერიტორიაზე. ნალექები წარმოდგენილნი არიან ფხვიერი წარმონაქმნებით: ხრეშით, კაჭარით, ქვიშებით, ქვიშნარებითა და თიხნარებით.

თანამედროვე პროლუვიურ-დელუვიური (pdQIV) წარმონაქმნები გავრცელებულია მაშავერას, ხრამის და სხვა მცირე დებიტიანი მდინარეების ხევების ფერდობებზე. ლითოლოგიურად ეს ნალექები აგებულია თიხებით და თიხნარებით, რომლებშიც აღინიშნება ნამსხვრევი მასალის ლინზური ჩანართები.

თანამედროვე ელუვიურ-დელუვიური (edQIV) წარმონაქმნები ფართო გავრცელებით სარგებლობს და გვხვდება ფერდობებზე, ლავურ პლატოებზე, წყალგამყოფებზე და მათ ფერდობებზე. ლითოლოგიურად აგებულია თიხებით, ქვიშებით და დაუმუშავებელი ნატეხოვანი მასალით.

აკად. ი. ბუაჩიძის მიერ საქართველოს ტერიტორიის ჰიდროლოგიური დარაიონების მიხედვით ქვემო ქართლის ვრცელი ვაკე შედის მარნეული-გარდაბნის არტეზიული აუზის შემადგენლობაში. აქ გამოიყოფა შემდეგი ძირითადი წყალშემცველი კომპლექსები, ჰორიზონტები და სპორადულად გაწყლოვანებული ნალექები:

1. მდინარეების ჭალისა და ჭალისზედა ტერასების ნალექების თანამედროვე ალუვიური წყალშემცველი ჰორიზონტი (alQIV), რომელიც ფართო გავრცელებით

სარგებლობს ხრამის, მაშავერასა და დებედას და მათი შენაკადების ხეობებში. ლითოლოგიურად ისინი წარმოდგენილია ხრეშოვან-კენჭნაროვან-ქვიშნაროვანი წარმონაქმნებით. მათი სიმძლავრე 10 მეტრამდეა. ეს ჰორიზონტი იკვებება მდინარის წყლებით, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნიან კალაპოტისქვეშა ნაკადებს და მოძრაობენ მდინარის დინების პარალელურად. ქიმიური შემადგენლობის მიხედვით წყლები სხვადასხვა ტიპისაა. მინერალიზაცია 1 გ/ლ-მდეა.

2. ადრემეოთხეული (Q) ასაკის წყალშემცველი ჰორიზონტის ნალექები ფართო გავრცელებით სარგებლობს მარნეული-გარდაბანის არტეზიული აუზის საზღვრებში. ლითოლოგიურად აღნიშნული ჰორიზონტი აგებულია სუსტად შეცემენტებული, პრაქტიკულად ფხვიერი კონგლომერატებით, კენჭნარებითა და ქვიშნარებით. სიმძლავრე 1-დან 3 მეტრამდეა.

3. ზედა პლიოცენ-მეოთხეული ($N2^3$-Q) ასაკის სპორადულად გაწყლოვანებული ლავური ნალექები ფართოდაა გავრცელებული მდინარეების მაშავერასა და ხრამის შუა დინების ადგილებში.

4. ქვედა მიოცენი-ზედა პლიოცენის ($N1^1$-$N2^3$) ნალექების წყალშემცველი კომპლექსი საკვლევ რაიონში განლაგებულია თანამედროვე მეოთხეული ნალექების ქვეშ და ლითოლოგიურად წარმოდგენილია კაჭარ-კენჭნარის, თიხებისა და თიხნარების შერეული ფენებით.

5. ზედა მიოცენი-ქვედა პლიოცენის ($N1^3$-$N2^1$) სპორადულად გაწყლოვანებული ვულკანოგენური ნალექების კომპლექსი, რაიონის ტერიტორიაზე შეზღუდული გავრცელებით სარგებლობს და მათი გამოსავლები ფიქსირდება მდ. მაშავერას შენაკადების ხევებში. წყლების მინერალიზაცია 0.2-0.5 გ/ლ-მდეა.

6. ზედა ცარცის (K2) სპორადულად გაწყლოვანებული წყების ჰორიზონტი წარმოდგენილია მდინარეთა ხეობებში და აგებულია ძირითადად პელიტომორფული კირქვებისაგან. წყლები სულფატურ-კარბონატულ-კალციუმიან- ნატრიუმიანი ტიპისაა. მინერალიზაცია 0.4-1.0 გ/ლ-ია. ტემპერატურა 10^0-12^0C-ია.

საინჟინრო გეოლოგია

რელიეფი საკმაოდ მრავალფეროვანია. მარნეული- გარდაბნის დეპრესიის ვაკე რელიეფი გადადის მდ. ხრამის ჭალაში, რომელსაც თავის მხრივ ცვლის ისევ მარნეული-გარდაბნის დეპრესიის ვაკე, ხოლო შემდგომ მას მოსდევს ლოქის მასივის მთისწინეთის ტალღოვანი რელიეფი, რომელიც გადადის გორაკ- ბორცვიანში. მარნეული-გარდაბნის ვაკეზე აღნიშნულ ზოლში ტერიტორია აგებულია თიხებით. მდ. ხრამის ჭალაში გავრცელებულია კენჭნარ-ხრეშოვანი წარმონაქმნები, რომლებიც გადაფარულია ხრეშის ჩანართებიანი თიხებით, მთისწინეთში ხვინჭა-ღორღიან თიხებს მოსდევს გამოფიტული კირქვები და მერგელები, აგრეთვე ანდეზიტ-ბაზალტის ლავები, რომლებსაც ქვეშ უდევს სუსტად გამოფიტული იგივე ქანები. ანდეზიტ-ბაზალტური ლავები,

საკვლევი უბნის აგებულებაში მონაწილეობას იღებს გრუნტების რამოდენიმე ფენა, ანუ საინჟინრო–გეოლოგიური ელემენტი – სგე. ქვემოთ მოყვანილია ამ ელემენტების საინჟინრო–გეოლოგიური დახასიათება.

ნიადაგის ფენი – სიმძლავრე (0,00-0,30 მ) ფენა უწყლოა, დამუშავების სიმძლავრის მიხედვით გრუნტი განეკუთვნება I ჯგუფს ს.ნ. და წ. IV–5–82 .

ხრეშოვანი გრუნტი – ქვიშნარების შემავსებლით წყალგაჯერებული სიმკვრივე ρ =1,95 ტ/მ^3 . დეფორმაციის მოდული E=400 x 0,1 მპა (400 კმ/სმ2). შეჭიდულობა C=0,1 x 0,1 მპა (0.1 კმ/სმ^2). პირობით საანგარიშო წინაღობად შეიძლება მიღებულ იქნას Ro=4,0 x 0,1 მპა(4 კმ/სმ2.). ფილტრაციის კოეფიციენტი– K=50მ^3 –დღ. დამუშავების სირთულის მიხედვით გრუნტი განეკუთვნება I ჯგუფს ს.ნ. და წ. IV–5–82. სიმძლავრე დადგენილი არ არის.

საკვლევი უბანი ს.ნ. და წ. IV–5–82. მე–10 დანართის მიხედთვით მიეკუთვნება I მარტივ კატეგორიას.

3.3. ნიადაგები

ალუვიური ნიადაგები ვრცელდება მდინარეების - ალგეთის, ხრამის, ვერეს და მათი შენაკადების ხეობების გასწვრივ. მათი დიდი ნაწილი კარბონატულია, მცირე ნაწილი კი დეგრადირებული ჭალის ტყითა და ჭაობებით არის დაკავებული. ალუვიური ნიადაგების უდიდესი ნაწილი ათვისებულია და გამოიყენება მიწათმოქმედებაში.

მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია შემდეგი ნიადაგები: ტყის სარტყელში, ზღ. დ. 1000 მ-ზე და ზევით გვხვდება *ყომრალ-შავი და ყომრალი ნიადაგები,* კირქვების გამოფიტვის პროდუქტებზე განვითარებულია *ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები,* ბორცვიან მთისწინეთში ვრცელდება *ყავისფერი ნიადაგები.*

ყომრალ-შავი ნიადაგები ხასიათდებიან მძლავრი ჰუმუსოვანი პროფილით, კოშტოვანკაკლოვანი სტრუქტურით, ნეიტრალურთან ახლო არეს რეაქციით, შთანთქმულ კათიონებში გაცვლითი წყალბადის მცირე შემცველობით, საშუალო თიხნარი მექანიკური შედგენილობით, ჰუმუსის ზომიერი შემცველობით. ეს ნიადაგები ეროზიული მოვლენების მიმართ საკმაოდ მდგრადი ნიადაგებია. მიუხედავად მათი მაღალი პოტენციური ნაყოფიერებისა, მკაცრი კლიმატური პირობები ზღუდავს მათ სასოფლო-სამეურნეო გამოყენებას. საკმაოდ ეფექტურია მათი საძოვრებად გამოყენება სათანადო ღონისძიებების გათვალისწინებით.

ყომრალი ნიადაგებზე მნიშვნელოვანია ეროზიის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებების გატარება და სათანადო აგროტექნიკურ ფონზე მაღალი ეფექტის მომცემი კულტურების სწრაფ გაადგილება.

ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები ხასიათდებიან სუსტად დიფერენცირებული პროფილით, ჩამრეცხი ან პერიოდულად ჩამრეცხი ტენის რეჟიმით, კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, გაცვლის მაღალი ტევადობით. ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები გამოყენების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: 1) მცირე სიზრქის, ხირხატიანი და ჩამორეცხილი; 2) საშუალო ან დიდი სიზრქის, ნაკლებად ხირხატიანი და ბევრჰუმუსიანი ნიადაგები. პირველი ჯგუფის ნიადაგები ექსტენციურ საძოვრებადაა გამოყენებული. მეორე ჯგუფის ნიადაგებზე გაშენებულია ხეხილის ბაღები.

ყავისფერი ნიადაგები მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდებიან და შავმიწებთან ერთად საქართველოს ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგებს მიეკუთვნება. თავისი აგრონომიული თვისებებით ისინი ერთ-ერთ საუკეთესო ნიადაგებად ითვლებიან ვაზისა და ხეხილოვანი კულტურებისთვის. ამ ნიადაგებზე გაშენებულია ხარისხიანი ღვინოების მომცემი ვენახები, ხეხილის ბაღები, რომლებიც მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევიან.

დამლაშებული ნიადაგები წარმოდგენილია ბიციანი და ბიცობიანი ნიადაგებით. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრებში გვხვდება: სუსტად დამლაშებული, საშუალოდ დამლაშებული და ძლიერ დამლაშებული ნიადაგები. დამლაშების წარმოქმნის პროცესი უკავშირდება წარსულში აქ მიმდინარე დელუვიურ-პროლუვიურ მოვლენებს. ნიადაგის დამლაშება ძირითადად სულფატური და ქლორიდულ-სულფატურია.

3.4 ჰიდროლოგიური ქსელი

ბუნებრივი ქვის საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს ქვემო ქართლის დაბლობის ერთ-ერთი შემადგენელ, გორაკ-ბორცვიან ფრაგმენტს. მთისწინეთისა და დაბალმთიანი (გორაკ-ბორცვიანი) ზონისათვის დამახასიათებელია რელიეფის რბილი კონტურები. აბსოლუტური ნიშნულებია დაბლობისათვის 200-300 მ, ხოლო გორაკ- ბორცვიანი ზონისათვის 400-750 მ. ქვემო ქართლის დაბლობი მოქცეულია მდინარე მტკვრისა და ხრამის ხეობებს შორის, რაც განაპირობებს ტერიტორიის კლიმატურ და რელიეფურ თავისებურებებს. რაიონისათვის მნიშვნელოვანი ჰიდროგრაფიული ერთეულებია მდინარეები ხრამი, ალგეთი, ვერე.

მდინარე ხრამი (ქცია) სათავეს იღებს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიების გავლით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უერთდება მდ.მტკვარს. მისი სიგრძე 117 კმ, აუზის ფართობი 6280 კმ^2.

მდინარე ალგეთი სათავეს იღებს კლდეკარის მთიდან (თრიალეთის მთაგრეხილი), მისი სიგრძე 108 კმ, ხოლო აუზის ფართობი 763 კმ^2. იგი თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტების გავლით მარჯვენა მხრიდან ერთვის მდინარე მტკვარს.

მდინარე ვერე სათავეს იღებს დიდგორის მთის მიდამოებიდან მისი სიგრძე შეადგენს 45 კმ - ს, აუზის ფართობი 194 კმ^2. მდინარე მტკვარს ერთვის თბილისის მიდამოებში.

მდ. ალგეთი სათავეს იღებს თრიალეთის ქედზე 1900 მ. ნიშნულზე ზღვის დონიდან. წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადს და უერთდება სოფ. ქესალოსთან. სიგრძე 118 კმ-ია, წყალშემკრები აუზის ფართი 762 კმ^2. ახასიათებს გაზაფხულის წყალდიდობა. მაქსიმალური ხარჯი 330 მ^3/წმ.

3.5 სეისმური პირობები

საქართველოს შავი ზღვის ნაპირის სეისმოლოგიური კვლევის მონაცემებით ადგილი აქვს ტექტონიკურ აქტიურობას, რომელიც დიფერენცირებული და კონტრასტულია და დამოკიდებულია ცალკეული ბლოკების აქტიურობის ინტენსივობაზე. 1988 წელს სომხეთში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის გამო საქართველოს ტერიტორიის ზოგადი სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით, ქ. თბილისი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. (საქ. რესპ. არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს 1991 წლის 7 ივლისის დადგენილება №42) სეისმური თვისებების მიხედვდით საკვლევი უბნის ამგები გრუნტები ს.ნ. და წ. 11-7-81 ცხ. -1-ის თანახმად განეკუთვნებიან II კატეგორიას, ამიტომ უბნის სეისმურობა უნდა განისაზღვროს 8 ბალით;

3.6 ძირითადი ლანდშაფტები, ფლორა და ფაუნა

ქვის დამამუშავებელი საწარმო მდებარეობს რეგიონში სადაც ჩამოყალიბებულია ლანდშაფტის შემდეგი სახეები: - სტეპური ნახევარუდაბნოს ვაკე;

- სტეპური მაღლობი ურიან-ვაციწვერიანი მცენარეულობით;
- ბორცვიანი მთისწინეთი ურიან-ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი მცენარეულობით;
- საშუალო სიმაღლის მთები ჯაგეკლიან-ურიანი მცენარეულობით;
- ტუგაის ტყის ლანდშაფტი მდინარისპირა ჭალაში.

ლანდშაფტი მნიშვნელოვნად სახეცვლილია და ამ მხრივ რაიმე ღირებულებას არ წარმოადგენს.

უშუალოდ საწარმო განლაგებულია სოფლიდან 1,6 კმ-ში და გარშემორტყმულია ძლიერ დაქვიანებული საძოვრითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით.

3.7 რადიაციული ფონი

რადიაციული უსაფრთხოების საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ და ნორმატივებით „რადიაციული უსაფრთხოების ნორმების“ ასევე „რადიაქტიული ნივთიერებებთან და მაიონირებელი გამოსხივების სხვა წყაროებთამუშაობის ძირითადი სტანდარტული წესები და ნორმები“.

ბუნებრივი ქვის დამუშავების პროცესში, არც-ერთ ეტაპზე რადიაციის არავითარი წყარო არ გამოიყენება და ამდენად, საწარმოს რადიაციულ ფონზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

3.8 კულტურული მემკვიდრეობა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით: გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი, (XIII სკ.); ორმოცი მოწამის გუმბათოვანი ეკლესია (სოფ.ღოუბანი XVI სკ); პირღებულის სამონასტრო კომპლექსი (XIII სკ); ფიტარეთის ჯვარ-გუმბათოვანი კომპლექსი; მანგლისის სიონი; სამშვილდის ნაქალაქარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი იყო; ფარცხისის ციხე; აღსანიშნავია კლდეთა მასივს არის შერწყმული ბირთვისის ციხე - სიმაგრე; ; ხულუტის ციხე და ა.შ.

აღნიშნული ღირსშესანიშნაობები საწარმოს ზემოქმედების ზონაში არ ხვდება. ისტორიულ–კულტურულ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი არ არის.

4. საქმიანობის შედეგად გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება

4.1. ზემოქმედების სახეები

შპს „ბი ემ სი“-ს საწარმო ექსპლოატაციის პერიოდში მოსალოდნელი გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება (მტვერი, ემისიები);

- ხმაურის გავრცელება;

- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკი;

- ზემოქმედება ლანდშაფტებზე და მათი ვიზუალური ცვლილება;

- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე - მცენარეული საფარის დაზიანება და(ან) განადგურება და ცხოველთა სამყაროს შეშფოთება;

- ნარჩენების წარმოქმნა და მის მართვასთან დაკავშირებული რისკები;

- ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;

- ზემოქმედება კულტურულ ძეგლებზე; და არქეოლოგიურ სამარხებზე;

- ზემოქმედება დასაქმებასა და ეკონომიკურ გარემოზე.

4.1.1 ატმოსფერული ჰაერი

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა მხოლოდ მტვერი, რომელიც წარმოადგენს ჰაერის მექანიკურ მინარევს. თავისი ტოქსიკურობით განეკუთვნება მე-3 კლასს;

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიში განხორციელდა საანგარიშო მეთოდიკების გამოყენებით. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისთვის.

ცხრილ 4.1.-ში წარმოდგენილია მტვრის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდები.

ცხრილი 4.1.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო ღ.ღამური	
2909	მტვერი	0,5	0,15	3

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი სტაციონალური წყაროებია:

1. ქვის საჭრელი HQDQ – 1600მმ დიამეტრის ხიდურა ხერხი (გ - 1);
2. ქვის საჭრელი HQHW – 900 დიამეტრის ხიდურა ხერხი (გ - 2);
3. ქვის ჩამოსაგანი ჩარხი (გ - 3).

მტვრის გაფრქვევები ქვის სახერხი ჩარხებიდან

ქვის მშრალი მეთოდით დამუშავებისას წარმოქმნილი მტვრის წამური და წლიური რაოდენობა იანგარიშება ფორმულებით:

$$M_{\text{წამური}} = 0{,}108 \text{ x } 10^{-4} \text{x } b \text{ x } v \text{ x } H \text{ x } \delta \ \frac{\text{გ}}{\text{წმ}}$$

$$M_{\text{წლიური}} = 0{,}648 \text{ x } 10^{-6} \text{ x } b \text{ x } L \text{ x } H \text{ x } \delta \ \frac{\text{ტ}}{\text{წელ}}$$

სადაც: b – განახერხის სიგანე, მმ;

v – მიწოდების სიჩქარე, მმ/წთ;

H – დასამუშავებელი მასალის სისქე, მმ;

L – წელიწადში განახერხების ჯამური სიგრძე, მ/წელ;

δ - დასამუშავებელი მასალის სიმკვრივე, გ/სმ³.

ქვის სველი მეთოდით დამუშავებისას ზემოაღნიშნულ ფორმულაში გათვალისწინებულ უნდა იქნას გაფრქვევის შემასწორებელი კოეფიციენტი, რომელიც ტოლია 0.01—ის.

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში 1600 მმ** -იანი დიამეტრის ხერხის ქვის სახერხი ჩარხიდან (გ-1, გაფრქვევის წყარო)

საწარმოს ქვის ნაკეთობათა დასახერხად გააჩნია ქვის სახერხი ჩარხი 1600 მმ-იანი

დიამეტრის ხერხით, რომელთა კბილების სისქეა (განახერხის სიგანე) 9 მმ. ერთ დანადგარს საათში შეუძლია 1000 მმ სისქის ქვის 2 გრძივი მეტრის გახერხვა (გახერხვის სიჩქარე 33 მმ/წთ), ამიტომ ქვის სახერხი ერთი დანადგარიდან (გ-1) გამოყოფილი მტვრის წამური რაოდენობა ქვის სიმკვრივის (2,8 ტ/მ^3) გათვალისწინებით ტოლი იქნება:

$$M = 0{,}108 \times 10^{-4} \times 9 \times 33 \times 1000 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 0{,}090 \text{ გ/წმ};$$

ხოლო მტვრის წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0{,}648 \times 10^{-6} \times 9 \times 7500 \times 1000 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 1{,}225 \text{ ტ/წელი}.$$

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში 900 მმ** -იანი დიამეტრის ხერხის ქვის სახერხი ჩარხიდან (გ-2, გაფრქვევის წყარო)

$$M = 0{,}108 \times 10^{-4} \times 8 \times 33 \times 1000 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 0{,}080 \text{ გ/წმ};$$

ხოლო მტვრის წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0{,}648 \times 10^{-6} \times 8 \times 7500 \times 1000 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 1{,}089 \text{ ტ/წელი}.$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ქვის ჩამოსაგანი ჩარხიდან - (გ-3 გაფრქვევის წყარო)

ქვის უსწორმასწორო გვერდების ჩამოსაგანად საწარმოს გააჩნია ქვის ჩამოსაგანი ხერხი, რომელთა კბილების სისქეა (განახერხის სიგანე) 5 მმ. ერთ ჩამოსაგან ჩარხს საათში შეუძლია 100 მმ სისქის ქვის 40 გრძივი მეტრის გახერხვა (გახერხვის სიჩქარე 66 მმ/წთ), ამიტომ ქვის ერთი ჩამოსაგანი ჩარხიდან (გ-6) გამოყოფილი მტვრის წამური რაოდენობა ტოლი იქნება:

$$M = 0{,}108 \times 10^{-4} \times 5 \times 66 \times 100 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 0{,}01 \text{ გ/წმ};$$

ხოლო მტვრის წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G = 0{,}648 \times 10^{-6} \times 5 \times 3000 \times 100 \times 2{,}8 \times 0{,}01 = 0{,}027 \text{ ტ/წელი}.$$

4.1.2. ხმაური

საწარმო პროცესში ხმაურის გამომწვევი წყაროებია: მსუბუქი უნივერსალური დამტვირთველი, ქვის სახერხი და ჩამოსაგანი დანადგარები. არც ერთი დანადგარის ხმაურის დონე 90 დბ-ს არ აღემატება.

ნორმატიული დოკუმენტით _ სანიტარიული ნორმები ”ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე” საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები დონე, დღის საათებისათვის შეადგენს 55 დბა-ს, ხოლო ღამის საათებისათვის 45 დბა-ს.

ხმაურის დონე 1600 მეტრში მდებარე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, არც დღისა და არც ღამის საათებში არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს.

4.1.3 ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის რესურსებზე ზემოქმედება

შპს „ბი ემ სი“ ტექნოლოგიურ პროცესში არ ახდენს ჩამდინარე წყლების ზედაპირულ წყალსატევში ჩაშვებას და ამიტომ საჭირო არ არის წყალსატევში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ) ნორმატივების დადგენა.

ექსპლოატაციის პერიოდში სამუშაოებს აწარმოებს მხოლოდ მთლიანად მობეტონებულ კაპიტალურ შენობებში. საწარმო მოედანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლები შესაძლოა შეგვხვდეს მხოლოდ 4,5 - 5 მეტრზე მეტ სიღრმებზე და მათზე რაიმე სახის ზემოქმედება გამორიცხულია.

ამდენად, უარყოფითი ზემოქმედება წყლის რესურსებზე მოსალოდნელი არ არის.

წყლის გამოყენების დახასიათება

შპს „ბი ემ სი“ წყალს იყენებს სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. ტექნიკური მიზნებისათვის წყალი საწარმოს ჭირდება ქვის ხერხვის და ჩამოგანვის პროცესში, სახანძრო უსაფრთხოებისათვის.

საწარმოს ჩამდინარე წყლები

`საყოფაცხოვრებო-ფეკალური წყლები წარმოიქმნება მხოლოდ მომუშავეთა ჰიგიენის დასაცავად და შრომის სწორი ორგანიზაციისათვის მოწყობილ საყოფაცხოვრებო შენობაში. ნახმარი წყალი გროვდება სანიტარული კვანძის ქვეშ მოწყობილ მობეტონებულ, დაახლოებით 8მ^3 მოცულობის მობეტონებულ რეზერვუარში, საიდანაც პერიოდულად გაიტანება ასენიზაციის მანქანით.

სასმელი წყალი საწარმოში შემოიზიდება ცისტერნით და ისხმება სამარაგო რეზერვუარში. წყალი გამოიყენება მხოლოდ სანიტარული კვანძში და ხელსაბანად.

ტექნიკური წყალიც, რომლითაც ხდება სალექარების შევსება, შემოიტანება ავტოცისტერრნებით.

საწარმოს სრული დატვირთვით ფუნქციონირებისას ყოველდღიურად დასაქმებულია 6 კაცი. საწარმოს დღიური წყლის ხარჯი:

$$Q_{\text{დღ}} = N \times q = 6 \times 0{,}045 = 0.27\ \text{მ}^3/\text{დღ}$$

სადაც N - მუშაკთა რაოდენობა;

q - წყლის დღიური მოთხოვნილება ერთ კაცზე.

გამართული მუშაობისათვის ზაფხულობით თვეში 20 – 25მ^3, ხოლო ზამთრის პერიოდში 5 – 6 მ^3 წყალი კმარა.

საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საკმარისია წელიწადში 50 - 55 მ^3/წელ.

4.1.4 ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

საწარმო განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაგებობის იატაკი დაფარულია ბეტონის სქელი წყალგაუმტარი ფენით.

გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების ანალიზისას შეისწავლება ნიადაგის და გრუნტის ხარისხის გაუარესების რისკები და ასეთი რისკების მინიმიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. სამუშაოები, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე (მაგ. მიწის სამუშაოებმა), გასათვალისწინებული არ არის. ნეგატიური ზემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორმა მართვამ.

4.1.5 ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმო, რომელსაც მხოლოდ 0.2 ჰა ტერიტორია უჭირავს, შემოსაზღვრულია საძოვრითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით და ლანდშაფტი სახეცვლილია. ამდენად გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

საკვლევი ტერიტორია ცხოველთა სახეობებისთვის მნიშვნელოვან საარსებო გარემოს არ წარმოადგენს. არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ეკოლოგიური პირობებისა და საავტომობილო გზების, სარკინიგზო მაგისტრალის და სოფლის სიახლოვიდან გამომდინარე, მის ფარგლებში მსხვილი ძუძუმწოვრების მოხვედრის ალბათობა თითქმის ნულოვანია.

ტერიტორიაზე შემთხვევით შეიძლება მოხვდეს ისეთი მცირე ზომის სახეობები, როგორიცაა კუ, მინდვრის თაგვი, ყვავი, შაშვი, ხვლიკი და სხვ.

საერთო ჯამში ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც ძალიან დაბალი. მრავალი მიმართულებით კი ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

საწარმოს ირგვლივ შეიმჩნევა ძალიან მეჩხერი ბუჩქნარი. უახლოესი ერთეული ხე-მცენარეები შეიმჩნევა მხოლოდ დასავლეთით და სამხრეთით 150 მეტრ მანძილზე და ამდენად მცენარეულ საფარზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მინიმალურია და შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას არ საჭიროებს.

ირგვლივ შეიმჩნევა ძალიან მეჩხერი ბუჩქნარი. უახლოესი ერთეული ხე-მცენარეები შეიმჩნევა მხოლოდ დასავლეთით და სამხრეთით 150 მეტრ მანძილზე.

4.1.6 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

უახლოეს დაცულ ტერიტორიამდე, კერძოდ თბილისის ეროვნული პარკამდე მინიმალური მანძილი 20 კმ-ს, ხოლო ალგეთის ეროვნულ პარკამდე 19 კმ-ს აღემატება. 30 კმ-ს აღემატება მანძილი გაედაბნის აღკვეთილამდე და ამდენად ნეგატიური ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

4.1.7. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და კულტურული ძეგლებით: გუდარეხის სამონასტრო კომპლექსი, (XIII სკ.); ორმოცი მოწამის გუმბათოვანი ეკლესია (სოფ.ღოუბანი XVI სკ); პირღებულის სამონასტრო კომპლექსი (XIII სკ); ფიტარეთის ჯვარ-გუმბათოვანი კომპლექსი; მანგლისის სიონი; სამშვილდის ნაქალაქარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი იყო; ფარცხისის ციხე; აღსანიშნავია კლდეთა მასივს არის შერწყმული ბირთვისის ციხე - სიმაგრე; ხულუტის ციხე და ა.შ.

აღნიშნული ღირსშესანიშნაობები საწარმოს ზემოქმედების ზონაში არ ხვდება. ისტორიულ–კულტურულ გარემოზე რაიმე ზეგავლენა, საწარმოს ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი არ არის.

4.1.8. კუმულაციური ზემოქმედება

საწარმოს გვერდით არ მდებარეობს არც ერთი მსგავსი პროფილის საწარმო.

500 მეტრიან რადიუსში არავითარი საწარმო არ არსებობს და კუმულაციურ ზემოქმედებას არ ექნება ადგილი.

4.1.9. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

საწარმოში წარმოიქმნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რისთვისაც საწარმოს ტერიტორიაზე დადგმულია ურნა, რომლიც შევსების შემთხვევაში გაიტანება საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე დასუფთავების სამსახურის მიერ.

საწარმოს საქმიანობის შედეგად საწარმოს ტექნოლოგიური ნარჩენი პრაქტიკულად არ გააჩნია. ქვის გადამუშავების შემდგომ დარჩენილი ნებისმიერი ზომის ნატეხი და(ან) ჩამონაჭერი გამოიყენება სახლების, გზების, სავალი ბილიკების და ა.შ. მშენებლობისას. უდანაკარგოდ გამოიყენება ასევე სალექარების გაწმენდისას ამოღებული ლამი, როგორც ბეტონის შემავსებელი (მაგ. ბეტონის ბლოკების წარმოებისას).

შერეული მუნიციპალური ნარჩენების არასწორ მართვას შესაძლოა მოყვეს:
წყლისა და ნიადაგის დაბინძურება მყარი ნარჩენებით და(ან) ორგანული დამაბინძურებლებით;

საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა მცირეა. ტერიტორიაზე დადგმულია ნარჩენების შემკრები კონტეინერი, რომელსაც პერიოდულად გაიტანს შპს „სუფთა მარნეული“.

სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისთვის საწარმოში მოწყობილია შესაბამისი სათავსო. დაგროვების შესაბამისად სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს.

ტექნოლოგიურ პროცესში წარმოიქმნება ნახმარი კომპოსტისა და ტორფის ნარევი, რაც თავის მხრივ სოფლის მეურნეობაში, ნიადაგის გამანოყიერებელ ძვირფას ნარევს (მასას) წარმოადგენს. მისი დროებით განთავსებისათვის გამოყოფილია ტერიტორია, საიდანაც პერიოდულად გაიტანება შესაბამისი ორგანიზაციების მიერ.

ასევე სპეციალურ სათავსში გროვდება და შემდგომ მიმღებ პუნქტებს გადაეცემა კომპოსტის შესაფუთი პოლიეთილენის (პლასტმასის) ნარჩენი.

4.1.10. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

საწარმოს ფუნქციონირებით მნიშვნელოვანი წვლილი შედის სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი 42-მდე იქნება, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების დადებითი ფაქტორია.

შპს „მარნეულის სოკო“ ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ბიუჯეტზე.

4.1.11. ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მომსახურე პერსონალისა და(ან) სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ადამიანის ჯანმრთელობაზე ნებისმიერი სიდიდის, როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი ზემოქმედება შესაძლებელია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვისა და რაიმე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში.

4.1.12. საწარმოს მოწყობის და ექსპლოატაციის პროცესში გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი

გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების განხილვამ აჩვენა, რომ ზოგიერთი სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის და ამდენად არ არსებობს შემარბილებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

აღნიშნული შედეგები მოცემულია ცხრილში

№	გარემოს კომპონენტები	ზემოქმედების ტიპი, მასშტაბი და ხარისხი
1	ბუნებრივი გარემო	
1.1.	ატმოსფერული ჰაერი	უმნიშვნელო, უარყოფითი
1.2.	ფლორა და ფაუნა	არ არის
1.3.	ნიადაგი	არ არის
1.4.	გრუნტის წყლები	არ არის
1.5.	ბუნებრივი ლანდშაფტები	არ არის
1.6.	ზედაპირული წყლები	არ არის
1.7.	დაცული ტერიტორიები	არ არის
1.8.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე	არ არის
2	სოციალურ–ეკონომიკური გარემო	
2.1.	ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	უმნიშვნელო უარყოფითი
2.2.	ადამიანების დასაქმება	მნიშვნელოვანი დადებითი
2.3.	ეკონომიკური მდგომარეობა	მნიშვნელოვანი დადებითი

დ ა ნ ა რ თ ი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 84.10.34.000.067**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892025383757 - 24/11/2025 11:25:22

მომზადების თარიღი
28/11/2025 14:55:49

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თეთრიწყარო	წინწყარო		
84	**10**	**34**	**000/067**
მისამართი: რაიონი თეთრიწყარო	**სოფელი წინწყარო**		

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 2027.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**84.10.34.000.066;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:შენობა N1 საერთო ფართით -180.31 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882024249563 თარიღი 29/02/2024 12:57:14
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/03/2024

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმი დამოწმების თარიღი:29/02/2024 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ბი ემ სი" ID ნომერი:434179104

მესაკუთრე:
შპს "ბი ემ სი"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023487769 თარიღი 28/12/2023 11:55:07

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 2027.00 კვ.მ. შენობა N1 საერთო ფართით -180.31 კვ.მ ;

იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000749712 დამოწმების თარიღი28/12/2023
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/01/2024

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102025646211 26/11/2025 09:48:53**
  შპს შპს ბი ემ სი ს/ნ 434179104
  საგანი: **მთელი ქონება მთელი ქონება**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოლებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 84.10.34.000.06

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 892025383757 - 24/11/2025 11:25:22	28/11/2025 14:55:49

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თეთრიწყარო	წინწყარი		
84	10	34	000/067

მისამართი: რაიონი თეთრიწყარო , სოფელი წინწყარო

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 2027.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**84.10.34.000.066;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:შენობა N1 საერთო ფართით -180.31 კვ.მ

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882024249563 , თარიღი 29/02/2024 12:57:14
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/03/2024

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საწარმოს პარტნიორთა კრების ოქმი , დამოწმების თარიღი:29/02/2024 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "ბი ემ სი" , ID ნომერი:434179104

მესაკუთრე:
შპს "ბი ემ სი"

აღწერა:

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023487769 თარიღი 28/12/2023 11:55:07

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
საგანი:დაზუსტებული ფართობი: 2027.00 კვ.მ. შენობა N1 საერთო ფართით -180.31 კვ.მ ;

იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000749712, დამოწმების თარიღი28/12/2023,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/01/2024

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102025646211 26/11/2025 09:48:53**
  შპს შპს ბი ემ სი ს/ნ 434179104
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

პარტნიორები

კლასის ტიპი: /კლასის გარეშე/ , რაოდენობა:100, ნომინალური ღირებულება:არ არის განსაზღვრული

მესაკუთრე	რაოდენობა	წილი	წილის მმართველი
ზაალ კვიციანი, 30001001542	100	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102025646211 26/11/2025 09:48:53**

  შპს შპს ბი ემ სი ს/ნ 434179104

  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

  საფუძველი: **შეტყობინება N05614338 26.11.2025, შემოსავლების სამსახური;**

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციის საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;

- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge